„დროება“ № 185, 1878 წ.

№ 185 14 ენკენისთვე, ხუთშაბათი 1866—1878 14 ენკენისთვე, ხუთშაბათი № 185

რედაქცია: სოლოლაკზე, სერგიევის ქუჩაზე, Iვ. ამირალოვის სახლში, № 8.

კანტორა რედაქციისა: სერგიევის ქუჩაზე, Iვ. ამირალოვის სახლებში, № 8.

ხელის-მოწერა მიიღება კანტორაში. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газ. „Дроэба“.

გაზეთის ფასი: თვლიანი წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—4 მან. და 50 კაპ., ოთხის თვის—3 მან.

ყოველ დღე ორშაბათს გარდა

დროება

ცალკე ნომერი ღირს შაურათ

განცხადება: მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და სხვ. ენებზე.

ფასი განცხადებისა: დიდი ასოებით ასოზე—1 კაპ., ასო-მთავრულით სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ცილცეროთი—5 კაპ., პატარათი—4 კაპ.

რედაქციას უფლება აქვს გაასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდათ გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

ჯვართ ამაღლების დღესასწაულის გამო პარასკევს, 15 სექტემბერს, გაზეთი არ გამოვა.

ხელის-მოწერა გაზეთს

„დროებაზე“

ფასი ნახევარი წლის გაზეთისა (პირველ ივლისიდამ პირველ იანვრამდინ 1879 წლისა) 4 მან. და 50 კაპეიკი. პირველი აგვისტოდამ წლის დამლევამდინ—4 მან.

ხელის-მოწერა მიიღება: თფილისში, (სერგიევის ქუჩაზე, Iვ. ამირალოვის სახლებში, № 8). ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: *Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „Дроэба“*.

საქართველო

ახლად-შემოერთებული ქართველები

იმ მოკლე შენიშნეებიდამ, რომელნიც „დროების“ უკანასკნელ ნომრებში იბეჭდებოდნენ, ჩვენი მკითხველი ცოტათი მაინც გაიცნობდა ჩვენთან ახლად-შემოერთებულ ბათუმის და ქობულეთის მაზრის ქართველების ხასიათსა და ცხოვრებას. მკითხველი დარწმუნდებოდა იმაში, რომ ამ ქართველებში, რომელნიც ორას წელიწადზე მეტია მოშორებიან თავის მოძმეებს და ოსმალეთის ხელში გადასულან, ახლაც დაცულია ქართული ენა, ხასიათი, ზოგიერთი ცრუ-მორწმუნოება და ჩვეულება.

„ბედის ბრუნვამ“ ხელ-ახლად შემოგვიერთა ახლა ჩვენ ეს დიდი ხნით განშორებული ძმები.

მაგრამ, როგორც იმავე შენიშნვებიდამ შეიტყობდით, მომეტებული ნაწილი ქობულეთის, ჩაქვის და აგრეთვე ბათუმის მაზრის ქართველებისა გადადიან ოსმალეთში. ისეთ ნაირად გაფანატიკებულან მაჰმადის სარწმუნოებაში, რომ ეთაკილებათ, ერიდებიან მართლმადიდებელ სახელმწიფოს ქვეშ ყოფნას. ერიდებათ აგრეთვე სხვა მიზეზებისა, რომელნიც გუშინდელს ბათუმიდამ წერილში იყვნენ მოყვანილნი.

ეს გარემოება, რომ ოსმალოს ქართველები გადადიან, გვშორდებიან დიდათ სამწუხარო და დასაფიქრებელი გარემოებაა. სამწუხაროა ერთის მხრით იმიტომ, რომ, უეჭველია, ამათ ოსმალეთში იგივე სისაწყლე, შიმშილი, ამოქლეტა და სხვა ყველა უბედურება მოელისთ, რაც მოუვიდათ ჩერქეზებსა და აბხაზებს, რომელნიც ახლა რუსეთის მმართებლობას ეხვეწებიან, უკან, ჩვენს სამშობლოში დაბრუნების ნება-რთვა მოგვეციო.

ჩვენთვის, იმათ მოძმე ქართველებისათვის ეს გარემოება მით უფრო სამწუხარო უნდა იყოს, რომ ჩვენ ხელ-ახლად გვეკარგებიან, გვშორდებიან დიდი ხნის განშორების შემდეგ ახლად შეძენილი ძმები; კაცთ-მოყვარეობის გრძნობას გარდა ჩვენში ძმური, ნათესაობითი გრძნობა უნდა მუშაობდეს...

თვით რუსეთისთვის მავნებელია ამათი გადასვლა ოსმალეთში პირველად იმიტომ რომ ამათგან დატოვებული ადგილების დასახლება კოლონიზაცია, როგორც აბხაზეთისა, და, საზოგადოთ შავი ზღვის ნაპირების მაგალითმა არა ერთხელ დაგვიმტკიცა, შეუძლებელია, რადგან უცხო ხალხი ამ ადგილებში ვერა სძლებს. ესენი კი, უეჭველია, დღეის შემდეგ იქნებოდნენ საუკეთესო დამცველები შავის ზღვის ნაპირებისა; მეორეთ იმიტომ, რომ ცარიელი, უდაბნო ადგილები საზოგადოთ მთელს რუსეთში, უიმისოთაც ბლომათაა და ამ მხრისაც კიდევ გაუდაბნოება, დაცლა ხალხისაგან, უეჭველია საზარალო იქნება მთელის სახელმწიფოსათვის, რადგან ამ სახელმწიფოს მოაკლდება მუშა ხელები, მიწა-წყლის შემმუშავებლები და პატრონები.

ამის გამო ყველა ქართველების, ყველა იქ მყოფ კეთილ-სინიდისიანის კაცისათვის საღმრთო მოვალეობას უნდა შეადგენდეს, ეცადნენ, რომ რჩევით, ჩაგონებით და სხვა ყველა შესაფერი საშუალებით დაუშალონ იქაურ ქართველებს ოსმალეთში გადასახლება. უნდა აუხსნათ, რომ სამი წელიწადი ვადა აქვთ, რომ თუ ამ წლის განმავალობაში დარწმუნდებიან, რომ იმათ ჩვენთან ცხოვრება არ გამოადგებათ, მერე შეუძლიანთ გადასახლება; უნდა წარმოუდგინოთ იმათ თვალწინ გადასახლებული ჩერქეზებისა და აბხაზების მაგალითი; უნდა აუხსნათ—თუ რამდენათ დამლუპველია ყველა ადამიანისათვის მამა-პაპისაგან შემუშავებული და გაკეთებული ოჯახის ოხრათ მიტოვება და რამდენათ ძნელია სხვაგან, უცნობს ქვეყანაში, უცხო ხალხში ახალი ოჯახობის დაწყება, მოთავსება; უნდა უთხრათ, რომ იმათ რჯულს, იმათ ცოლ-შვილს, იმათ სახლ-კარს და ქონებას კაცი არ შეეხება და სხვ. და. სხვ.

ყველა ეს უნდა აუხსნათ, უნდა ჩააგონოთ და ამას, უეჭველია, იმათ გადაწყვეტილებაზედ დიდი გავლენა ექნება.

მაგრამ ამაზე უფრო მომეტებული გავლენა ექნება პირველი შესული ჩვენი ხალხის, განსაკუთრებით ჩვენი ჩინოვნიკების მოქმედებასა და მაგალითს. ყველა ჩვენს ნაბიჯს, ჩვენს მოქმედებას ახლა ისინი გაცეცებულის თვალით, დაკვირვებით შესცქერიან; ამ პირველი ჩვენი კაცების მოქმედებით უნდათ შეიტყონ ამათ—თუ რა ხალხი ვართ ჩვენ, უნდა დარწმუნდნენ—მოახერხებენ ისინი ჩვენთან ერთად ცხოვრებას, გაძლებენ, თუ არა.

გუშინდელს ნომერში მოყვანილი იყო სულ უბრალო შემთხვევა, რომელიც მამხდარიყო ამას წინეთ ბათუმში: ერთს ვილაცა დამთვრალ მილიციონერს ძაღლი მოეკლა ქუჩაზე, და რადგან მაჰმადიანებს ძაღლი წმინდა არსებათ მიაჩნიათ, საშინლად გაჯავრებულიყვნენ და ქუჩებში ერთი ყვირილი და ღრიალი შექნილიყო. ეს ხომ სულ უბრალო შემთხვევაა; მაგრამ ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ამის მნახველი რამდენიმე ბათუმელი იტყოდა თავის გულში: „არა, ჩვენ ამისთანა ხალხთან გაძლება არ შეგვიძლიან, სჯობს წავიდეთო;“

ამნაირად, პირველად მაინც განსაკუთრებითი სიფრთხილე მართებს ყველას, ვისაც ამ ხალხთან რაიმე საქმე და კავშირი ექნება. თუ ჩვენ ჩვენის პატიოსნებით, ჩვენის საქმით, მაგალითით დაუმტკიცებთ იმათ, რომ ხალხის შესაწუხებლად არ მივსულვართ იმათ ქვეყანაში რომ სამართლიანები ვართ, ავსა და კარგს გავარჩევთ, პატიოსნება გვიყვარს; თუ ჩვენ, ერთის სიტყვით, ისე მოვეპყრობით იმათ, როგორც ნამდვილ ძმას შეეფერება და არა ისე, როგორც ძალით აღებულს, დაპყრობილ ხალხს, დარწმუნებული იყავით, რომ დიდის სიამოვნებით დარჩებიან, აღარ გაივლებენ გულში ოსმალეთში გადასახლებას.

და ეს იმათი თავის ქვეყანაშა დარჩენა, როგორც ზევით მოგახსენეთ, ბევ-

რის მხრით სასარგებლო იქნება როგორც თვით მთავრობისათვის, აგრეთვე ჩვენთვის, ქართველებისთვისაც. . .

ს. მ.

ლღიური

*** ჩვენ შევიტყეთ, რომ ფოთსა და ბათუმს შუა იმართება მუდმივი რეისი, ხომალდი „ბაბუშკა“; მუდამ კვირაში საშჯერ ივლის ამ ორ ქალაქს შუა და ხალხსაც წაიყვანს და საქონელსაც გადიტანს - გადმოიტანსო.

*** ბევრმა დაბეჯითებით არ იცის კიდევ ჯერ: ბათუმის პორტოფრანკო იქნება თუ არა, დამოჟნა იქნება იქ და ბაჟს გადახდებინებენ იქ შეტანილს საქონელს, თუ არა!

ბერლინის ტრაქტატში პირ - და - პირ გამოცხადებულია, რომ „რუსეთის იმპერატორს აქვს განზრახვა, რომ ბათუმი კომმერციულ პორტად და პორტოფრანკოდ გააკეთოს“. ამის გამო ცხადია, რომ ბათუმში შეტანილ საქონელს ბაჟი არ გადახდებ; მაგრამ როგორც კი საქონელს ბათუმს გამოაცილებენ ქალაქის სამზღვარზე, იმ წამსვე საქონლის პატრონმა ბაჟი უნდა გადაიხადოს და ისე უნდა შემოიტანოს საქონელი რუსეთში.

*** ამ წლის 1 ოქტომბრიდამ შემდეგ ქალაქებში თფილისიდამ გასაგზავნ დეპეშებში—20 სიტყვაში—გადახდება, 1 მანეთის მაგიერად, 50 კაპეიკი: თფილისიდამ: აბაზ - თუმანში, ალექსანდრაპოლში, ახალციხეში, ბორჯომში, ვლადიკავკაზში, ბროზნაში, ელისავეტპოლში, ეფრემოვკაში, ზაქათალაში, ყარსში, ქედაბეგში, ქუთაისში, ნუხაში, ჩახატაურში, ხასავ - იურტში, ერევანში, ეჩმიაძინში, აჯამეთში, ბექათუბანში, ბელაგორში, ძირულაში, ფონში და მორალისში.

*** ფოჩტის გამგეობა აცხადებს, რომ გასული 16 აგვისტოდამ დაწყებული ახალ-სენაკსა და ზუგდიდს შუა მუდამ დღე ფოჩტის ომნიბუსები დაიარება. ახალ-სენაკიდამ მუდამ დღე დილის 8 საათიდამ გადის ომნიბუსი და 1 საათზე და 45 მინუტზე ზუგდიდში მიდის; ზუგდიდიდამ კი გამოდის ნაშუადღევის 2 საათზე და ახალ-სენაკში საღამოს 7 საათზე და 30 მინუტზე შემოდის.

*** დღეს, 13-ს, ნაშუადღევის 2 საათზედ თფილისში მოვიდა ბრძოლის ველიდამ დაბრუნებული თფილისის პოლკი. ქალაქის წარმომადგენლები, გამგეობის წევრები, ხელოსნების თაე, უსტაბაშები და ამქარი პატიკის ცემის ნიშნად შეეგება ამათ რკინის გზის სტანციაზე.

ხვალ, 14-ს, აგრეთვე 15-ს და 16-ს დაბრუნდებიან ჩვენს ქალაქში დანარჩენი პოლკები კავკასიის ბრენადერის დივიზიისა, რომელთაც ქალაქის წარმომადგენლები მიეგებებიან და აფიცრებსა და სალდათებს გაუმასპინძლდებიან.

*** ახალციხიდამ გვატყობინებენ რომ არც ზემო-აჭარიდამ და არც ქვემო-აჭარიდამ ახლად-შემოერთებული ხალხი, ჯერ-ჯერობით არც ერთი ოჯახი არ გადასახლებულა ოსმალეთში და არც შემდეგში ჰფიქრობენ გადასახლებასაო.

რაღა თქმა უნდა, რომ ეს ამბავი ძალიან სასიამოვნო ამბავია.

*** იქიდამვე გვწერენ, რომ არტაანის მაზრის უფროსი უფ. მიხეილ მეფისოვი დაუნიშნავთ ართვინის მაზრის უფროსად; ართვინის მაზრა, როგორც ისმის, ბათუმის საოლუბერნატოროსთან იქნება შეერთებული; ართვინს იქით კი ყარსის მაზრა დაიწყებაო.

*** ბუშინ წინ, ორშაბათს, ჩვენი ქალაქის ბამგეობაში უნდა ყოფილიყო სხდომა რჩევისა; მაგრამ ეს სხდომა ვერ შესდგა, რადგან სულ 17 ხმოვანი მოვიდა.

ახლა მაინც ხომ სიცხეები არ არის და სოფლებიდამ ჩამოსული უნდა იყვნენ ჩვენი პატიცემული დამცველები ქალაქის ინტერესებისა! მაგრამ, როგორც რუსები ამბობენ, „ქუზიანს მხოლოთ საფლავი გაასწორებს!“

ოლპირის იარმუკა

დღეს რომ ენკენისთვის პირველია და პარასკევი, შემთხვევით მომიხდა მისვლა ოლპირში. ვიდრე ჩემ ნაცნობთან შინ მივიდოდი, ვნახე ოლპირი სამსე სხვა-და-სხვა ხალხით: მღვდლებით, თავადებით თუ აზნაურებით, სამხედრო აფიცრებით, ინტენდანტის ჩინოვნიკებით, გლეხ-კაცობით და მომეტებული ნაწილი ქალებით.

ხალხი ერთმანეთში არეულნი იყვნენ და ვისაც კი რამე ებადა, ჰყიდდნენ: აბრეშუმს, ჩოხებს, ჭილობებს, ქათმებს, ბატებსა, ინდაურებს, კვერცხებს თუ სხვა ძირის მოსავალს. ხალხს თითქო ეჩქარებოდათ წასვლა, რადგანაც ცა სრულებით დახურული იყო შავის ცუდის ბურუსითა და წვიმას აპირებდა.

აქვე ქალაქის კინტოები დაბძანდებოდნენ, ზურგზე ტომრებ აკიდებულები და რაც კი რამ მოიპოებოდა გასაყიდი, გაჩქარებული ყიდულობდნენ ერთი ორ ფასათ და თავიანთ ბინაზედ მიჰქონდათ. ბლეხ-კაცობა, თუ ამათი ქალები ტიტველ-შიშველნი იყვნენ და ფეხსაცმელი ოცში თუ ერთს ეცვა, ისიც ქალსა.

თავად-აზნაურები, ცხენებით, ზოგნიც ქვეითი, დაირბოდნენ, ხელზედ შამინოები უსხდათ, უმტკვენდნენ და ხელიდამ შეაგდებდნენ, მაგრამ მაგრათ ფეხით დაბმული ჰყავდათ, რომ არ გაფრენილიყო. ამ მიმინოს სიყვარული ისრე გამჯდარი ჰქონიათ გულში, რომ თავიანთი 15 წლის შვილებიც ამათ უკან დასდევდათ და იმათაც მიმინოები ხელზე უსხდათ.

ბასაკვირველად დამრჩა, რომ ამ პატიცემულ გვამთ კარებზედ მოსავალი მომდგარი აქვთ, დიდი წვიმებისაგან სიმინდი და სხვა ძირის მოსავალი ლპება, ამათზე არა ზრუნავენ და მიმინოებს დასდევენ. ჩვენის ქვეყნის მოსავალით სხვა ქვეყნის ხალხი მდიდრდება და ჩვენკი არ გვესმის ესა; ჩვენკი მიმინოები გვიჭირავს ხელში და მჭადით ვკმაყოფილდებით.

ა. თუთაევი.

„დროების“ კორრესპონდენცია

სილნალი, 27 აგვისტოს. ეს თვე-ნახევარი არის, რაც სილნაღიდამ გარდაიყვანეს გამომძიებელი უ. ხოსროევი.

მაგრამ უბედურობა ეს არის, რომ სამაგიერო ისეთი კაცი მოვიდა, რომლის მოქმედება ძალიან დასაძრახისია ჯერ რომელიც ამ გამომძიებლამდინ საქმე არ მოსულა და არც გაგება აქვს საქმეერაში მდგომარეობს, ეს ამზადებს იმ პირებისათვის ნაობახტში ოთახს და მეიდანზედ ღრიალებს დავატუსაღებო.

სოფელში რომ წავა გამოსაძიებლათ, ეს ახალი გამომძიებელი უფ. საბინევსკი, რაც უნდა დამნაშავობა იყოს, ეს კაცი არქმევს გაცარცვას და ატუსაღებს გლეხებს, და თუ როგორმე შამასახლისმა მალე არ შეასრულა ბრძანება, მაშინ მათრახსაც ამუშავებს. როდესაც მოწმებს ჰკითხავს, თუ ის, არ უჩვენეს, რომ ბრალდებული გამტყუნდა, იმ მოწმებისათვის ციმბირით აშინებს.

ერთს გლეხ კაცს საჩივარი ჰქონდა, მოსამართლე აქ არ იყო და ამას მისცა თხოვნა. საჩივარი მდგომიაროობდა 150 მანეთში. წაიკითხა რა ის გამომძიებელმან უპასუხა: ეს გაცარცვა არისო, გამოძიებას დავნიშნავო“. მერე თავის თარჯიმანმა უპასუხა, ეს კაცი თხუთმეტ თუმანს დავობსო. ბამომძიებელმან შეუჭყიტა, შენი საქმე არ არისო, მე უფრისტი ვარო, უფრო კარგა მესმისო.

ერთს აზნაურს ნაცვალოვს აბრალებდნენ, ვითომც იმას, როგორც ვექილს, მიეღოს მრწმუნებელის მოვალედამ ფული და არ უბრუნებდა. ეს საქმე ამ გამომძიებელთან იყო. მეიდანზედ დაინახა ნაცვალოვი და დაუწყო ღრიალით ლაპარაკი. ნაცვალოვმა უპასუხა: აქ ალაგი არ არის ლაპარაკისა. მაშინ მოიხმარა გამომძიებელმან მათხრახი, ხოლოთ ნაცვალოვმაც დაუხვევრა მუშტი და სხ.

ამ ნაირად გამოდის სალაყბოზედ და ღრიალებს, მოჩივარმა ასე სთქვაო ბრალდებულმან ასე სთქვაო და მოწმეებმაც ასეო.

ერთ სიღნაღის მცხოვრებელს Oფილისიდამ გამოეტანებინა სიღნაღში ლეკის ურმისთვის, სხვათა შორის, რუმბები; მეურმე ლეკს სამი რუმბი გაეყიდნა, თუ დაეკარგა, რუმბების პატრონი ედაებოდა, ყოველ რუმბში სთხოვდა სამ თუმანს. ლეკმა შინაურულათ გაუთავა სულ ოთხ თუმნათ, და რადგანაც ლეკს ფული არა ჰქონდა, ეს ლეკი თავის ურმით დარჩა ამ სიღნაღელთან, ვიდრე ზაქათლიდან ფული დაიბარა და მისცემდა. ჩვენმა გამომძიებელმან შეიტყო ეს საქმე და გამოძიებას ნიშნავს და ღრიალებს, გაცარცეა არისო!

სოფელში რომ გამოსაძიებლათ მიდის, თუ გამოძიება აქვს ერთ დღეს ხუთ სოფელში, იღებს ხუთ პრაგონს ხაზინიდამ, ამბობს, მე თითო სოფელში წაველო ამოველ სიღნაღში და კიდევ იმავე მინუტში წაველი სხვა სოფელშიო, ასე რომ საღამოდინ ხუთჯერ ამოველო და წაველო!.. ამ თვის 5-ს წავიდა ბოდბის-ხევში, აქიდან გადვიდა მაჩხაანში, იქიდან პრასიანში გადმოვიდა, მაჩხაანს მერე ბოდბეს, მაღაროს და საღამოზედ მოვიდა სიღნაღს და ამისთვის, როგორც შევიტყე, აუღია ექვსი პრაგონი..

აი ასე უბედურობა არის ჩვენ უბედურ სიღნაღში უბედურ ჩინოვნიკის ხელში; ამისი მოსელა არის თვე ნახევარი და, როგორც ამბობენ, პრაგონები მიუღია ხაზინიდან ვიდრე 700 მანეთი...

იმედი გვაქვს, რომ უმაღლესი სასამართლო მთავრობა ყურადღებას მიაქცევს ამ ჩვენი გამომძიებელის უკანონო და ხალხის შემაიწროებელ მოქმედებას და დროზე დაგვიხსნის იმისაგან.

სიღნაღელი

წერილი რედაქტორთან

—

უფალო რედაქტორო!

თქვენ გაზეთში ამ წლის 177 №-ში დაბეჭდილი იყო უ. ახალშენაშვილის წერილი, ჩემთან მოწერილი. ამ წერილში ახალშენაშვილს მოჰყავს წარწერა მეტეხის ეკლესიის კედლის ქვაზე, რომელიც მეფეს ირაკლი მეორეს შეეხებადა შემდეგ ამბობს:

„ეხლა ის ქვა, რომელზედაც ის წარწერა იყო, ჩამოვარდნილა ამ ცოტა ხანში და დაკარგულა. ბარდა ამისა მარტო ამ ეკლესიაში - ღა მოიპოებოდა ტრაპეზზე საჩრდილობელი და რადგანაც ახლა ამ ეკლესიას აკეთებინებენ (რა საკვირველია ახალ პლანზე) ამ მიზეზით ეს საჩრდილობელიც აუღიათ, ზოგნი ამბობენ, ვითომც ისევ გაკეთებენო, მაგრამ საეჭვოა. რადგან ეს ორივე უძვირფასესი ნივთებია არხეოლოგიისათვის, ამისთვის მოგახსენებთ, როგორც წევრს არხეოლოგიის საზოგადოებისას და გთხოვთ ჩვეულებრივ ყურადღება მიაქციოთ“. . .

ჯერ ეს უნდა მოგახსენოთ, უფ. რედაქტორო, რომ მეტეხის ეკლესია არის არა თუ ერთ უძველეს ეკლესიათაგანი საქართველოში, თვით ის მდიდრული ქანდაკი ანუ ჩუქურთმა, რომელიც ამშვენიერებს იმის კარი-ბჭეს და აღმოსავლეთის კედელს ითვლება უკეთეს არხიტექტურ ხელოვნებათ ჩვენ მხარეში.

ამის გამო მეტეხის ეკლესიაზე დიდი ყურადღება უნდა იყოს მიქცეული არხეოლოგიის მხრით. Oუმცა ახალ-შენაშვილის წერილში მოხსენებული შემთხვევა ირაკლის დროს წარწერაზედ მე დასაჯერებელ შემთხვევათ არ მიმაჩნდა, მაგრამ მაინც ავედი მეტეხში და აი რა აღმოჩნდა.

მართალია, აახლებენ მეტეხის ეკლესიას, ანუ უკეთ ვსთქვათ, იმ ნაწილს, რომელიც მართლა საჭიროებს გაახლებაში. ზოგიერთ ფანჯრებს აგანიერებენ სინათლისათვის, ისიც იქ, სადაც ძველი ხელოვნება შეშლილა უწინვე. ირაკლის წარწერა ამოჭრილი სამ ქვაზე სამხრეთ კედელზედ, თავის ადგილსვე არის ისევ ისე, როგორც იყო. საჩრდილობელი, მართალია, აღებულია; მაგრამ აღებულია აგრეთვე კანკელი, ხატები და ყოველივე რაც კი უნდა აღებულიყო, რომ მტვერს არ გაეფუჭებინა. ნუ იჭვნეულობს . უფ. ახალ-შენაშვილი: საჩრდილობელი თავის დროს ისევ თავის ადგილს დაიდგმის.

ამასთანავე უნდა ვსთქვა, რომ მეტეხის ეკლესია და იმისი გაახლების საქმის წარმოება ისეთ პირთ აქვთ მინდობილი, რომელთ მხრითაც დიდი ყურადღებაა მიქცეული ყოველსავე საგანზე, რაც კი არხეოლოგიისთვის ღირს-სახსოვარია. ეს პირნი არიან: მეტეხის ციხის ზედა-მხედველი პატივ-საცემი ნიკანორ Oგორიჩი ჩეკმასოვი და პატივ-საცემივე მეტეხის ეკლესიის მღვდელი მამა Iოანე ლომაური.

მეტეხის ეკლესიის გაახლებისათვის ხარჯი მოგროვილია უფ. ჩეკმასოვის მეცადინეობით. უ. ჩეკმასოვი თანა უგრძნობს როგორც ეკლესიის გამშვენიერებას, აგრეთვე ციხეში შემწყვდეულთ მდგომარეობას და იმათთვის ზრუნავს

ამ პირთ მეცადინეობას უნდა მივაწეროთ, რომ აღმოსავლეთის კედლის დიდი ქვაზე გამოქანდაკებული ჯვარი, რომელიც მიემსგავსება მდიდარ შეკრულს ჯვარს სამთავისისას, Iკორთისას და ქაბენის ზონასტრისას და რომელიც, როგორც სჩანს, იმათზე უძველესია და აგრეთვე ფანჯრებს გარეშემო გამოქადაკული არშიები ხელუხლებლად რჩება. ფანჯრებსაც იქ ისევე ძველს სტოებენ, რომ ეს არშიები არ შეირყეს.

ესეც უნდა მოგახსენოთ, რომ მეტეხის ცა-დაქნილი კარი-ბჭე, შიგნით მხრივ სულ მთლად სხვა და სხვა რიგის მშვენიერისავე ჩუქურთმებით არის შემოსილი, მაგრამ ეს ხელოვნება ძნელად ეტყობა, რადგანაც კირით არის შელესილი. უ. ჩეკმასოვი გვაიმედებს, რომ კირს უეჭველად ავაცლევინებო და კარი- ბჭის ხელოვნებას თავის ნამდვილ მდგომარეობას მივაკემინებო.

Dიმიტრი ბაქრაძე

უცხო ქვეყნები

Oსმალეთი

სტამბოლიდამ მოვიდა ამბავი, რომ იქაური პოლიციას დაუტუსაღებია რამდენიმე კაცი, რომელთაც ხონთქრის მოკვლა განუზრახავთ და იმის მაგივრად ძველი ხონთქრის მურადის აყვანა Oსმალეთის ტახტზე. ამ ამბავს ძალიან დაუფრთხია ახლანდელი ხონთქარი, თვით სტამბოლის ხალხიც შეშინებულა, არეულობა არ მოხდესო, და ამის გამო იმ დღეებში ხონთქრის სასახლის გარეშემო და აგრეთვე სტამბოლის ქუჩებში მომეტებული ჯარები დადიოდნენ ყარაულათაო.

— ინგლისის სტამბოლელ ელჩს ლეიარდს წარუდგენია Oსმალეთის მმართებლობისათვის პროექტი იმ რეფორმებისა, რომელნიც უნდა შემოიღოს პორტამ მცირე აზიაში. მთავარ ვეზირს საეფეტ-ფაშას უთქვამს ლეიარდისათვის, რომ Oსმალეთის მთავრობა თანახმა არის თქვენგან წარმოდგენილი რეფორმები შემოიღოს მცირე აზიაშიო, მაგრამ ამისათვის ამ თავითვე ექვსი მილიონი გირვანქა სტერლინგი არის საჭიროვო. გაზეთებში არ არის ჯერ გამოცხადებული—თუ რა პასუხი მისცა ამაზედ ინგლისის მთავრობამ და ან რა ნაირია ის რეფორმები, რომლის შემოღებასაც თხოულობს ინგლისი მცირე აზიაში.

— გამოჩენილ მითხად-ფაშას, რომელიც ამ უკანასკნელ დროს პარიჟში ცხოვრებდა, იქაურმა Oსმალოს ელჩმა გადასცა ხონთქრის ბრძანება, რომლის ძალითაც იმას ეძლევა უფლება თავის ქვეყანაში დაბრუნებისა.

საბერძნეთი

ინგლისის გაზეთს „ტაიმსში“ დაბეჭდილია ათინიდამ 5 ენკენისთვეს მიღებული დეპეშა, რომელიც ამბობს, რომ, როგორც ეტყობა, Oსმალეთსა და საბერძნეთს შუა უეჭველია ბრძოლა ატყდებაო, რადგან Oსმალეთი არ უთმობს იმას არაფერსაო. საბერძნეთში ამ ჟამად დიდი მოძრაობა არის ხალხისაო, თხოულობენ, რომ მეფემ მაინცადა-მაინც ომი გამოუცხადოს Oმალეთს, ჯარებს აგროვებენო, საბერძნეთის კოროლევა ლივადიაში წავიდა რუსეთის Iმპერატორის სანახავათაო.

ჩერნოგორია

როგორც საბერძნეთსა და ოსმალეთს შუა არის უკმაყოფილება, ისეთივე უკმაყოფილება და იმავე მიზეზით არსებობს აგრეთვე ჩერნოგორიასა და ოსმალეთს შუაც. ჩერნოგორია ამ ჟამად საომრად ემზადება და ევროპის უმთავრეს სახელმწიფოებისათვის გამოუცხადებია, რომ, თუ იმათ არ მიიღეს შუამდგომლობა, იძულებული იქნება ოსმალეთს ომი გამოუცხადოს.

ტელეგრამმები

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

ლონდონი, 12 სექტემბერს. გაზეთს „ტაიმსს“ კალკუტიდამ (ინდოეთიდამ) დეპეშა მოუვიდა, რომ აფგანისტანში გაგზავნილი ინგლისის ელჩები ინდოეთის ვიცე-კაროლის ტელეგრაფიული ბრძანებით დაბრუნდნენ უკანაო. ინგლისი ელჩებს აღარ გაგზავნის. აფგანისტანის ჯარის უფროსმა არიმოსვიდში შეუთვალა ხსენებულ ელჩებს, რომ თუ წინ წასვლა მოინდომეს, ძალით დააბრუნებს იმათ უკან.

გაზეთი „ტაიმსი“ ამბობს, რომ აფგანისტანის ემირის ამ გვარი მოქმედება ინგლისის შეურაცხყოფად უნდა ჩაითვალოსო და შეუძლებელიაო, რომ ამ საქმეს მძიმე შედეგი ექნესო; ეს გვიმტკიცებსო აგრეთვე იმას, რომ აფგანისტანის ემირს შირ-ალის და რუსეთს კავშირი შეუკრავთ ერთმანეთშიო.

ლონდონი, 12 სექტემბერს. ინგლისურ გაზეთებში იწერებიან, რომ ბრიტანიის კაბინეთში უთუოდ მოხდებაა სხდომა აფგანისტანის კითხვების განსარჩევლად.

სტანდარტში იწერებია ტელეგრამით სისილიიდამ: 11 სექტემბრიდამ, მოხდა სპეციალური სხდომები ვიცე-კაროლის რჩევისგან.

მოსაზღვრე ჯარების უფროსი წავიდა პელენეორიდამ საიდუმლო მინდობილებაებით. მოწერილობაა, რომ სამზღვრებზედ დადგება დიდ ძალი მეომრები 12,000 კაცი უკვე მომზადებულია ამ საზღვრებზედ.

გაზეთს „Times“-ის აზრით ომბიანობა დაიწყება არ უწინარეს გაზაფხულისა.

პეტერბურგის ბირჟა, 14 სექტემბერს

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

ბანკის ბილეთები:	მან.	კაპ.
ირველი გამოცემის —	95—	87
მეორესი — — — —	96—	87
მესამესი — — — —	95—	50
მეოთხესი — — — —	95—	62
აღმოსავლეთის — —	92—	70
ოქრო, 1/2 იმპერიალი —	8—	4
თფილ. თავად-აზნ. ბანკის		
გირაოს ფურცელი— — „— „		
შინაგანი 5% სესხის ბილეთები:		
	მან.	კაპ.
პირველი სესხის — —	24—	25
მეორე სესხის — — —	229—	50

1 მანეთი ღირს:

ლონდონი— —	24—60	პენსი
ამსტერდამი— —	124—12	ცენტი
ბერლინი— — —	209—50	ჰფენიგი
პარიჟი — — —	250—„	სანტიმი
უავკასიის კერასინი	2—45	
ამერიკის — — —	3—15	

განცხადებანი

იქავ ისყიდება იმისივე

„იგავ-არაკნი“

გამოკრებილნი საბა-სულხან ორბელიანის „სიბრძნე-სიცრუიდამ“ და გალექსილი თ. რაფ. ერისთვისაგან.

ფასი ორი შაური.

ქუთაისში

ანტონ ლოგოთქიშვილის გიბლიოთეკაში ისყიდება:

1) დედა ენა, ი. ბოგდანოვისა, ფასი 45
2) ანუკა ბატონიშვილი, ისტორიული მოთხრობა ბრ. რჩეულოვისა ფასი 20კ.
3) ცოლი ვიტირო, თუ ფული? კომედია ალ. თუთაევისა, ფასი 30 კაპ.
4) ვეფხვის ტყაოსანი, შოთა რუსთველისა, ფასი 50 კაპ.
5) მეფე ლირი, დრამმა შექსპირისა, ფასი 60 კაპ.

და აგრეთვე სხვა ყოველგვარი ქართული და სახელმძღვანელო რუსული წიგნები კარტები, ატლასები, სურათები და სხვ.

ამ დღეებში მივიღეთ თბილისში

სანაქებო დამდნარი ძროხის ერბო

სიბირის მხრიდან, რომელიც ისყიდება თამამშოვის ქარავასლასთან, თუთუნოვის კანტორის წინა. ბოჩკით მყიდველისათვის ფუთი 13 მანეთი, ფუთობით და ნახევარ ფუთობით 14 მანეთი და გირვანქობით ორი აბაზი. მეტათ საქებურია ამ ერბოს სუნი და გემო.

რკ. გზა.	დილა.		საღამ.		II კ.		III კ.	
თფილისი . .	9	21	5	18	მ.	კაპ.	მ.	კაპ.
მცხეთა . . .	10	11	6	27	-	68	-	38
ბორი. . . .	11	58	9	43	2	40	1	33
ხაშური. . .	1	29	11	57	3	92	2	18
სურამი. . .	1	44			4	42	2	46
უვირილა. .	5	49			5	81	3	23
რიონი . . .	6	57			6	75	3	75
სამტრედია .	7	51			7	73	4	29
ახალ-სენაკი	8	43			8	57	4	76
ფოთი . . .	9	50			9	75	5	42
ფოთი . . .	9	3						
ახალ-სენაკი	10	14			1	18	-	66
სამტრედია .	11	5			2	6	1	14
რიონი . . .	12	13			3	4	1	69
უვირილა. .	1	18	ღამე.		3	98	2	21
სურამი . . .	5	12	1	10	5	33	2	96
ხაშური. . .	5	39	1	37	5	84	3	24
ბორი . . .	7	5	4	8	7	36	4	9
მცხეთა . . .	8	50	6	59	9	8	5	4
თფილისი. .	9	31	7	56	9	75	5	42

ტელეგრაფი

ოცი სიტყვა თფილისიდამ:

	მან	კაპ.
ქუთაისს, ფოთს	1	—
ბორს, დუშეთს, სილნალს . .	—	50
როსტოვს, ოდესას, მოსკოვს	2	—
პეტერბურღს, ვარშავას	2	—
ოსმალეთში, შვეიცარიაში. .	3	—
იტალიაში და საფრანგეთში .	3	50
ინგლისში	3	75

ფოჩტა

ა) თფილისიდამ: სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს— ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და ხუთშ. ოზურ.—პარასკ. და ორშ. ბაზეს—სამშ. და შაბ. ბ) ქუთაისიდამ: თფილისისა და ფოთისკენ— ყოველ დღე, კვირას გარდა. ოზურგეთს—ორშ. და პარასკ.

წიგნის გაგზავნა რუსეთში	კაპ.
და სამზღვარ გარეთ:	
ლია წიგნის	4
დაბეჭდილის (ხამი მესხალი) .	8

მაზანდა	მან	კაპ
თფილისი, 12 სექტემბ.		
ფქვ. თეთ. ბანჯინა, ფთ.	1	60
ფქვილი წითელი . . .	1	25
ქერი ფუთი	1	30
ბამბა ერევნისა, ფუთი .	7	50
—ამერიკისა, ფუთი . .	8	50
ბაპენტილი ბამბა ფუთი.	10	—
მატყლი თუშური ფუთი.	8	—
—თარაქამისა ფუთი . .	4	50
აბრეშუმი ნუხური სტ .	2	—
ქონი, ფუთი	5	60
ქონის სანთელი ფუთი .	8	—
სტეარინის სანთელი, ფთ.	12	40
ხორცი ძროხისა, ლიტ	—	81
—ცხვრისა, ლიტრა . .	—	90
სპირტი ვედრო	4	80
შაქარი, ბროც. ფუთი .	7	50
—ფხვნილი ფუთი . . .	6	20
ულავ გრგვალი, გირვ . .	—	70
ხეთი ქუნჯუთისა ფუთი.	13	50
თამბაქო, საუკეთესო ფთ.	12	—

თფილისის სამკურნალო

ერევნის მაიდანზე, წინამძღვაროვის სახლებში.

ავთმყოფებს მიიღებენ ყოველს დღე დილის 9 საათიდამ 1-მდინ.

ორშაბათს: ვერმიშევი და ბარლევიჩი—შინაგ. ავათ., ქიუჩარიანც—საგარო ექიმი და საშვილოს ოპერაციები.

სამშაბათს: ვერმიშევი—შინაგ. ა. ბახუტოვი—საბებიო და ბავშვის, პეუნოვი—თვალის.

ოთხშაბათი: ვერმიშევი შინაგანი.

ხუთშაბათს: ვერმიშევი—შინაგ., ქიუჩარიანცი—სიფილიტიკური და საშარდე ორგანების.

პარასკევს: ვერმიშევი-შინაგ., ა. ბახუტოვი—საბებიო ქალისა და ბავშვების.

შაბათს: ვერმიშევი შინაგ., და პეუნოვი—თვალისა.

Дозволено цензурою. Тифлисъ 13 Сентября 1878 г. Типографія Меликова. გამომცემ. ს. მელიქიშვილი. რედაქტორი ს. მესხი.